




საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

5 ნოემბერი, პირა, 1989 წ.
№ 218 (10 182) ღ ფასი 2 კპპ.

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან

სპორტ-ის აღმასკომის სხდომებზე



გულთ ორი კვირის მანძილზე საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომი რამოდენიმეჯერ შეიკრიბა, რათა ოპერატიულად განეხილა მიმდინარე საკითხები და პერსპექტიული გეგმები მიეღო. აღმასკომის ერთ-ერთ სხდომაზე შეიკრიბნენ სეოკ-ის მუდმივმოქმედი კომისიები (რამდენიმე კიდევ შესაქმნელია) და დამტკიცდა მათი შემადგენლობა. ეს კომისიებია: სპორტული ფედერაციების, სარედაქციო-საგამომცემლო საქმიანობის, იურიდიული, ოლიმპიური თამაშების ისტორიისა და პროპაგანდის, უცხოეთის ქვეყნებთან ურთიერთობის, სპორტის ეროვნული სახეობების, ხელოვნებისა და კულტურის, სამედიცინო და ა. შ. კომისიის ზეგამდგენელთა ნაწილმა უკვე წარმოადგინა სამუშაო გეგმები, რომლებიც სეოკ-ის აღმასკომმა დაამტკიცა.

კონკურსი

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის
გამგზავნის საუბათესო პროექტზე

1. კონკურსის მიზანია შეიკრიბნას საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა.
2. კონკურსის ორგანიზატორი კონკურსს ატარებს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი (სეოკ-ი) გაზეთ „სამშობლოს“ რედაქციისა და საქართველოს მშვიდობის ფონდთან ერთად.
3. კონკურსის მონაწილენი კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ როგორც ცალკეულ პიროვნებებს, ისე შემოქმედებით ჯგუფებსა და ორგანიზაციებს.
4. კონკურსის პირობები კონკურსის სამუშაო ენა ქართული.
5. კონკურსის ვადები და მისამართი 5.1. საკონკურსო ნამუშევრების ჩაბარების ბოლო ვადაა 1989 წლის 15 დეკემბერი (ფოსტით გამოგზავნილი მასალებისათვის — საფოსტო შტამპის მიხედვით). 5.2. საკონკურსო მასალები უნდა ჩაბარდეს ან გამოგზავნოს გაზეთ „სამშობლოს“ რედაქციაში შემდეგი მისამართით: 380008. თბილისი. რუსთაველის გამზირი, 42. 5.3. საკონკურსო მასალების გამოფენის დრო და ადგილი მოგვიანებით გამოქვეყნდება.
6. კონკურსზე წარმოდგენილი მასალები შესრულებული უნდა იყოს 40X60 ზომის ფურცელზე. 6.1. ემბლემის ზომა, ფორმა, ფერები და კომპოზიცია ნებისმიერია, მაგრამ ოლიმპიური ქართულის თანახმად, მისი აუცილებელი იტრიბუტი უნდა იყოს ოლიმპიური სიმბოლო — ზუთი ოლიმპიური რგოლი. 6.2. უნდა არსებობდეს ემბლემის როგორც ფერადი, ასევე შავ-თეთრი ვარიანტები. 6.3. ემბლემის პროექტი (როგორც შავ-თეთრი, ისე ფერადი ვარიანტები) წარმოდგენილი უნდა იყოს 5:1 მასშტაბში და ნატურალური ზომით. 6.4. ემბლემის პროექტის განმარტებები შეიძლება დაიწეროს თვით ფურცელზე. 6.5. წარმოდგენილ საკონკურსო მასალებს იმავე დევიზით თან უნდა დაერთოს დახურული კონვერტი, რომელშიც განთავსებული იქნება ავტორის (ავტორთა) ვინაობა; იქვე მითითებული უნდა იყოს კონკურსში მონაწილე ავტორის, შემოქმედებითი კოლექტივის თუ ორგანიზაციის ზუსტი მისამართი და ტელეფონის ნომრები.
7. საკონკურსო მასალების განხილვის წესი 7.1. კონკურსზე წარმოდგენილ მასალებს განიხილავს საგანგებოდ შედგენილი საექსპერტო კომისია, რომელიც მის მიერ შერჩეულ პროექტებს (არა უმეტეს ექვსისა) განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგენს სეოკ-ის გაფართოებულ აღმასკომს. 7.2. გაფართოებულ აღმასკომზე საკონკურსო მასალების განხილვაში მონაწილეობენ რეკომენდებულ პროექტთა ავტორებიც. 7.3. სეოკ-ის გაფართოებული აღმასკომი საექსპერტო კომისიის მიერ რეკომენდებული პროექტებიდან შეარჩევს ერთ საუკეთესოს. 7.4. გაფართოებული აღმასკომის გადაწყვეტილება საბოლოოა.
8. პრემიები 8.1. კონკურსში გამარჯვებულთათვის გაზეთ „სამშობლოს“ რედაქციისა და საქართველოს მშვიდობის ფონდის მიერ დაწესებულია შემდეგი პრემიები: — ერთი პირველი პრემია 2000 მანეთის ოდენობით; — ხუთი წამახალისებელი პრემია 200 მანეთის ოდენობით თითოეული. 8.2. გამარჯვებულ ექვს პროექტთან ერთად საექსპერტო კომისიის მიერ შეირჩევა პროექტები, რომლებიც შეტანილი იქნება შემდგომში გამოცემულ კატალოგში.
9. გამარჯვებული პროექტის გამოყენების წესი ავტორისათვის (ავტორებისათვის) პრემიის მინიჭების შემდეგ გამარჯვებულ პროექტზე ყოველგვარი უფლება ეკუთვნის მხოლოდ სეოკ-ს.
10. წარმოდგენილი საკონკურსო პროექტების შესახებ ყველა წარმოდგენილი პროექტი სამუდამოდ რჩება სეოკ-ის განკარგულებაში და დაცული იქნება საქართველოს ოლიმპიურ მუზეუმში.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი;
გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია;
საქართველოს მშვიდობის ფონდი.






3 და 4 ნოემბერს უამრავი თბილისელი და ჩვენი დედაქალაქის სტუმარი მიიზიდა სპორტის სასახლეში გამართულ თეატრალურ-სპორტულმა საღამომ, რომელიც რესპუბლიკური საქველმოქმედო ფონდის ეკონომიკური საფუძვლის განსამტკიცებლად გაიმართა. საღამოში მონაწილეობდნენ ქართული ესტრადისა და სცენის ვარსკვლავები: ნინო ბრეგვაძე, მელა ჯაფარიძე, სოფიკო ქიაურელი, ეკა მახალაძე, გივი ბერიკაშვილი, ირაკლი უჩანავაშვილი, ტარიელ საყვარელიძე, სოსო პავლიაშვილი, ნუგზარ ერგემიძე, მერაბ სეფაშვილი და სხვ.

მოეწყო საჩვენებელი გამოსვლები ოლიმპიური, მსოფლიოს, ევროპისა და სსრ კავშირის ჩემპიონთა და პრიზიორთა მონაწილეობით სპორტულ-მხატვრულ ტანვარჯიშში, აკრობატიკაში, ბატუტზე ხტომაში, აღმოსავლურ ორთაბრძოლებსა და ათლეტიკაში.

მაყურებელი შეზღადა სპორტულ თემაზე შექმნილი ქართული მხატვრული და დოკუმენტური ფილმების გმირებს.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.



+1

თელასალთათვის...

პარავი ტრადიციები აქვთ თელასის სპორტსმენებს. სულ ახლახან საქართველოს ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშაკთა პროფკავშირის საქალაქო სპარტაკიადზე მათ პირველი ადგილი დაიკავეს. კარგი სტრუქტურა აიღეს რესპუბლიკური სპარტაკიადის პირველი ტურის შეხვედრებშიც, სადაც ყველას აჯობეს ფეხბურთსა და მაგილის ჩოგბურთში.

აქედან სპორტსმენებს დიდ დამარებას უწევს სამართველოს პროფკავშირის კომიტეტი, რომელმაც წლეულს 2 ათასი მანეთის სპორ-

ტული ინვენტარი და სპორტული ტანსაცმელი შეიძინა.

ამ დღეებში თელასის ფიზიკულ-ტურულმა დიდი სიხარული განიცადეს — თბილისის ელექტრონაგებობათა სამმართველოს ტერიტორიაზე სახეივო ვითარებაში გაიხსნა სპორტულ-გამაჯანსაღებელი მოედანი „თელასი“. აქ თელასის მუშა-მოსამსახურეებს და მათი ოჯახის წევრებს შეუძლიათ ევარჯიშონ და ერთმანეთს შეეჯიბონ მინიფეხბურთში, კალათბურთში, ფრენბურთში, ჩოგბურთში.

გია აღმაშვილი, თელასის პროფკომიტეტის თავმჯდომარე.



შეიქმნა
პოპისი

ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებს 118 დელეგატი დაესწრო ჩვენი ქვეყნის ტრეკონდისტთა შეკრებას, რომელზეც შეიქმნა საკავშირო კომისია ჭიდაობის ან სახეობაში. მას სათავეში ჩაუდგა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის დოცენტი იგორ სოკოლოვი. კომისიის განზრახული აქვს მომავალი წლის თებერვალ-მარტში შექმნას ტაეკვონდოს საკავშირო ფედერაცია. რომელიც შემდგომ შეეცადოს აღმოსავლური ორთაბრძოლების საკავშირო ასოციაციაში, ზაფხულში კი ჩვენი ათლეტები გამოვლენ ტაეკვონდოს მსოფლიო ჩემპიონატში.

მესხის (თბილისი) და ნატალია მედვედევა (კიევი) წყვილმა დაძაბული ბრძოლის შემდეგ აჯობა ამერიკელთა (რონი რეისი და ზუ ნა) დუეტს 6:4, 3:6, 7:5.

ერთეულთა თანრიგში საბჭოთა გუნდმა კიდევ ორი დანაკლისი გა-



ინფორმაცია

ინფორმაციის. აშშ-ს ამ ქალაქში მიმდინარე ევრიკინია სლონის სერიის ტურნირში ლილა

ეს წარმატება ყველას აკუთვნის


ლანჩუთის „გურიის“ ფეხბურთელი გუნდი ერთწლიანი შეხვედრების შემდეგ კვლავ დაუბრუნდა უმაღლეს ლიგას. გუნდმა წარმატებით ჩაატარა მთელი სეზონი, რაც მატჩებში აჩვენა ის ფეხბურთი, რომელსაც ნატარობა ფეხბურთის ქართველი გულშემატკივარი უდავოა, ამ წარმატებაში გუნდის თითოეულ წევრს თანაბრად მიუძღვის წვლილი, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „ლიგის წილი“ ამ დიდ სამეფო გუნდის მთავარ მწვრთნელს, წლების განმავლობაში ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბის კიევის „დინამოსა“ და საბჭოთა კავშირის ნაკრების მცველს, სპორტის დამსახურებულ ოსტატ მიხეილ ფომენკოს მიუძღვის. ამიტომაც ინტერესს, რომელსაც ქვემოთ შევაჯამებთ, მასთან საუბრით ვიწყებთ.

უმაღლეს ლიგაში ერთი სეზონის გამოსვლის შემდეგ გუნდი კვლავ I ლიგას დაუბრუნდა, როგორ იმოქმედა ამან ფეხბურთელებზე, გუნდის კომპანიაზე, ლანჩუთელ გულშემატკივრებს ძალიან უყვართ თავისი კოლექტივი, შევალა მის წარმატებასა თუ წარუმატებლობას გულთი განიცდიან.

— თუ შეიძლება პასუხს ბოლოდან დავიწყებ. დავრწმუნდი, რომ ფეხბურთი საქართველოს ყველა კუთხეში სპორტის №1 სახეობად ითვლება, ლანჩუთელებს კი იგი გამოჩენილად უყვართ და ეს მით კიდევ, ამიტომაც, როცა გუნდმა უმაღლესი ლიგა დატოვა, რაიონში არავითარი პანიკა არ შექმნილა. მწვრთნელებსაც და ფეხბურთელებსაც, გულშემატკივრებსაც სწორად შეაფასეს იმ წელს შექმნილი სიტუაცია, ჩვენი გუნდი უმაღლესი ლიგის ბინადართა შორის ყველაზე სუსტად გამოიყურებოდა და ამიტომაც ვერავითარი სასწაულო „გურიას“ იმ სეზონში ვერ იხსნიდა. და ერთიც: „გურიის“ ქომაგებს ყოველთვის ვგვიღობდა დევიდო კოლექტივის მეთორმეტი ფეხბურთელი.

რა შეცვალა კოლექტივში ამ ორი წლის განმავლობაში? „გურიას“ ხომ, ბოლო წლებში პოზიციები არ დაუთმო, ეს დღევანდელი წარმატებებიდან თვალნათლივ ჩანს. ორადღე სიტყვით ვთხარით თქვენს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ დროის ამ მონაკვეთში.

— წლებად სეზონში „გურიის“ წარმატებით გამოსვლაში ყველას თანაბრად მიგვძღვის წვლილი. წარმოიდგინეთ ოჯახი, სადაც ყველა შრომობს და საკუთარი კერისთვის რაღაცა შეაქვს და ამატებს, ამ დროს კი იგივე ოჯახში გიოცას ყველაფერი უკან გააქვს. ამ შემთხვევაში დევიდოთა და ბარაქის შექმნა ლანჩუთის გუნდზე იგივეა. საფეხბურთო კოლექტივშიც, აქაც ყველა პირადად უნდა ასრულებდეს თავის მოვალეობას, მას, ვისაც ეს არ შეუძლია, არ უნდა, რა მონაცემებისა და პერსპექტივებისაც არ უნდა იყოს, გუნდში მას არ დაეფარება, სწორედ ეს ღონისძიებები და წარმატების ერთადერთი საწინდარია ჩათვალოს. წინა სეზონში ჩემპიონატის დამთავრებამდე რამდენიმე ტურით ადრე კვლავ გაგვიჩნდა უმაღლეს ლიგაში დაბრუნების შანსი, მაგრამ ფეხბურთელთა დადებითობა, გამუდმებულმა ტრავმებმა, სეზონის ბოლოს მოსკოვში არმივლენთან დახურულ მსხვერპლში გამა-



მიხეილ ფომენკო.

რთულმა მატჩმა, ჩვენთვის არასახარბილოდ დაგვიტოვა კალენდარი ამის საშუალება არ მოგვცა. წლებად სეზონში გუნდი უკეთ მოემზადა, კალენდარიც შარშანდელთან შედარებით ბევრად უკეთ იყო შედგენილი და, რაც ყველაზე მთავარია, გუნდმა იქნა თავისი ძალებისა, რაც ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია ასეთ დამაწყველ მართონში ასპარეზობისას.

ბევრს, მათ შორის ფეხბურთის სპეციალისტებსაც კი, მიაჩნია, რომ „გურიას“ უმაღლეს ლიგაში დაბრუნება კანონზომიერია, ვინაიდან კოლექტივში ბევრი გამოცდილი ფეხბურთელია, რომლებსაც შევალა რთული ამოცანების გადაწყვეტაც კი შეუძლებელია.

— სასწაულები ბავშვობიდანვე არ მეროდა, მაგრამ შეუძლებელიც არაფერია, როგორც ზევით აღვნიშნე, თავდასხმით გუნდმა რომ არა, არც ერთ საქმეში არაფერი გამოვა. ჩვენ ამ სეზონში შევქმენით მობილიზება, მთელი ენერგიის მოკრეფა და სეზონის ბოლომდე ძალების შემოინახვა, რამაც სასურველი შედეგი გამოიღო, მაგრამ იმის ხელაღებით მტკიცება, რომ „გურიას“ წლებად სეზონში აუცილებლად დაუბრუნდებოდა უმაღლეს ლიგას, არასწორად მიმაჩნია. იმ ოცდარე წელს შორის, რომელიც პირველი ლიგაში ასპარეზობს, ნახევარზე მეტს უძლიერესთა ელტარში გამოსვლის გამოცდილება აქვს. ეს განსაკუთრებით ლიდერებზე იქნება, მათ არც

ფეხბურთელები ჰყავთ ნაკლებად ტიტულოვანი და გამოცდილი. ჩვენც გვყავს ფეხბურთელები, რომლებსაც უმაღლეს ლიგაში გამოსვლის გამოცდილება აქვთ, მაგრამ მათი უმეტესობა უმაღლეს ლიგაში დიდი ხნის წინათ მონაწილეობდა, ფეხბურთი კი, მოგვსენებათ, ერთ ადგილზე არ დგას. ამიტომ არასწორად მიმაჩნია მათი აზრი, ვინც ფიქრობს, რომ თუ გუნდში უმაღლეს ლიგაში გამოცდილების მქონე რამდენიმე ფეხბურთელი გვყავს, აუცილებლად მიიღწევს მაღალ მწვერვალს. მინდა აღვნიშნო ისიც, რომ იმ გუნდებს შორის, რომლებიც წლებად სეზონში უმაღლეს ლიგაში დაბრუნებულან, აცხადებდნენ პრეტენზიას, ყველაზე „მოკლე სკაიში“ ჩვენ გვქონდა და, წარმოიდგინეთ, რით დამთავრდება ასეთ დროს რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის გამოკლება. ჩვენს სასიხარულოდ ეს ასე არ მოხდა და სეზონიც წარმატებით დავასრულეთ.

ალბათ, გასაღები მეთი საფიქრალი გაგვიჩნდა, უმაღლეს ლიგაში მოასპარევე გუნდს სათადარიგო „სკაიში“ სოლიდური და ძლიერი უნდა ჰყავდეს, რა მიზნები აქვს „გურიას“ სამერმისოდ? — საფიქრალი და საზრუნავი მწვრთნელს არასდროს გამოეღწევა, არც ჩვენ ვართ გამონაკლისი. „გურიას“ მომავალში უფრო ძლიერი და მობილური რომ უნდა იყოს, ეს არ არის ახალი ამბავი. გუნდის ხელმძღვანელობა და ფეხბურთელებიც მშვენივრად გეგმავენ იმ თანადგომას, რომელსაც ჩვენს მიმართ იჩენს რესპუბლიკის თუ ადგილობრივი ხელმძღვანელები. ჩვენი მხრიდან ყველაფერს გვაკეთებთ, რათა მათ არ გავუცრუოთ იმედები. თუ კონკრეტულად როგორ განვახორციელებთ ამას და როგორ დავაკმაყოფილებთ გუნდს მომავალი წლისთვის, ამას მოგვიანებით მოგახსენებთ, რადგანაც რაიმე კონკრეტული თქმა ჯერჯერობით ნამდვილად არ შეგვიძლია.

საუბარში გუნდის უფროსი, სპორტის ოსტატ თეიმურაზ ჩხაიძეც ჩაგვერთო.

— გაისაღო თბილისი „დინამოსთან“ ერთად მოგვიყვას უმაღლესი ლიგის გუნდებთან ბრძოლა. ეს ორივე გუნდი გაგვიადვილებს წარმატებით გავართვათ თავი დსაპხულ ამოცანებს. ამის გარანტიას ორივე კოლექტივი შექმნილი მგობრული, ჯანსაღი ბტმოსფერო გვაძლევს. ჩვენს გუნდში თბილისის „დინამოს“ რამდენიმე ყოფილი ფეხბურთელი გამოდის. ისინი რომ არა, ასეთ წარმატებაზე ფიქრიც წარმოუდგენლად მეჩვენება. აქვე მალეობა მინდა გადავხადო რესპუბლიკურ და ადგილობრივ ხელმძღვანელობას, ყველა გულშემატკივარს, რომელთა თანადგომის და მხარდაჭერას ყოველი ფეხის ნაბიჯზე ვგრძნობდით. მადლიერების გრძნობით უნდა აღვნიშნო რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის რესპუბლიკური კომიტეტი, რომელსაც რესპუბლიკის არც ერთ საფეხბურთო მიმომხილველში არ დავიწყებია ჩვენი გუნდის შესახებ მასუბრებლისთვის ინფორმაციის მიწოდება.

ზაზა პახაძე, ჩვენი. სპეც. კორ.

საიდან გარდა „გურიის“

ეს ბევრ გულშემატკივარს აინტერესებს, ისინი გვთხოვენ კავსებით მათ წმინდა ეროვნული დასახელების წარმოშობის ისტორიას. განსაკუთრებით მომრავლა ასეთი შეკითხვები ამ დღეებში, როცა ლანჩუთელმა ფეხბურთელმა ბრწყინვალედ განვლეს I ლიგის საკავშირო გათამაშების ორთაბრძოლები და მერმის საბჭოთა ფეხბურთის ელიტაში გამოსვლის უფლება მოიპოვეს.

ჩვენი კორესპონდენტი დაუკავშირდა „გურიის“ ყოფილ ხელმძღვანელს, რომლის ხელშიც მოხდა გუნდის ნათლობა. ეს გახლავთ საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი შალვა კაკაბაძე, რომელსაც მიუღო ჩვენი ქვეყანაში ერთ-ერთი მწვერვალად მუშაობის ხანგრძლივობის რეკორდი ეკუთვნის. დაახ. შ. კაკაბაძემ მთელი 25 წელი დაჰყო „გურიას“ და გუნდის წარმატებათა მნიშვნელოვანი წილი მასზე მოდის. იგი ჯერ უშუალოდ საფეხბურთო მინდორზეც იკავდა ამ გუნდის ლიდერებას, როცა ნახევარმცველად თამაშობდა. 1961 წელს კი კოლექტივის ჩაუდგა სათავეში. ახლა კი შ. კაკაბაძემ შეგვახსენა, რომ სწორედ იმ ხანად რესპუბლიკის პირველობაში მონაწილეთა შორის, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, მომრავლა „კოლმეურნეს“ სახელის მატარებელი გუნდები. ამიტომაც გადაწყდა, რომ მათ უფრო შესაფერისი სახელწოდებები ჰქონოდათ. მაგრამ უშუალოდ გურიასი მასმა გუნდმა მოინდო. მაშინ კუთხის სახელის ტარება. კერძოდ, გურიის სახელს ერთმანეთს ეცილებოდნენ მაშინდელი მახარაძის (ოზურგეთის) „კოლმეურნე“, რადგან გურიის ცენტრი სწორედ ეს ქალაქია, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის გუნდები. მაშინ გადაწყდა, რომ ამ სამეფლიდან ვინც უკეთეს ადგილს დაიკავებდა რესპუბლიკის ჩემპიონატში, „გურიაც“ მას დაერქმეოდა. ამ მხრივ საუბრესო შანსები ლანჩხუთელებს გაუჩნდათ, რომელთაც ზედიზედ მესამედ მოიპოვეს საქართველოს ჩემპიონატი და თასი. ეს მოხდა ისე, როგორც კოლექტივებთან მეტოქეობაში, როგორც მახარაძის, ბათუმის, ფოთის, რუსთავის, გორის, სამტრედიის, სოხუმის, ზუგდიდის, ცხაპის, ტყეშელისა და სხვა ქალაქების ძლიერი გუნდები. იმავე წელს ლანჩხუთის „გურიამ“, როგორც რესპუბლიკის ჩემპიონმა, უფლებას მოიპოვა ეასპარეზა ჩვენი ქვეყნის „ბ“ კლასის გუნდების გათამაშებაში. შემდეგ შეიქმნა ამიერკავკასიის რესპუბლიკის „ბ“ კლასი (ახლანდელი II ლიგა). „გურიამ“ აქაც პირველი ადგილი მოიპოვა, მაგრამ გადასასვლელ ტურნირებში — რიგასა და ჩიმქენში წაიბრძოდა და ვერ გადავიდა პირველ ლიგაში. ეს მან 1973 წელს შეძლო. მასთან ერთად ამის პრეტენზია ჰქონდათ ყაზანის, ტოლიატის, კუბინსკის, რიგის, ლევიკისა და სამტრედიის („ლოკომოტივის“) ფეხბურთელებს. მას შემდეგ „გურიას“ ანგარიშგასაწევი მეტოქედ იქცა პირველი ლიგის წარმომადგენელთათვის, ხოლო შარშანდელ უძლიერესთა შორისაც გამოდიოდა, რომელთა რიგებს ახლა კვლავ დაუბრუნდა. ამ წარმატებაში დიდი „გურიის“ გულშემატკივართა და რაიონის ხელმძღვანელთა წვლილი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ადგილობრივი გაზეთის „კომუნისტურის შრომის“ რედაქტორის ყოფილი მოადგილის ევგრაფ შევარდნაძის ამაგი, რომელიც მან „გურიას“ დასდო. მაგრამ განსაკუთრებით უნდა ითქვას „გურიის“ გულშემატკივრის ფეხბურთე, მის თავ-გამოდებულ სიყვარულზე, რამაც გუნდს ბევრი რამ შეადგებინა. არც ის უნდა დავავიწყდეს, რომ „გურიას“ მართლ უმაღლეს ლიგაში გადასვლას არ ისახავდა მიზნად. ამასთან ერთად მან ქართული ფეხბურთის ფლაგმანს თბილისის „დინამოს“ აღუზარდა ტყუილ ბურთის ოსტატები ილია დთუნაშვილი, რამაზ ურუშაძე, ზორბეგ ებრაელიძე, ლევან ყორანია, გია თავაძე. ოთარ კორაილიძე, ვახტანგ ძიძიგური. გიგინაძე, თემურ ჩხაიძე და სხვ.



ზაზა პახაძე, ჩვენი. სპეც. კორ.

საქართველოს პირველობა

გამომართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის 33-ე ტურისა და გამოტოვებული შეხვედრები.

„დინამო“ (ზუგდიდი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 3:1. მსაჯი ა. ნიშინაძე (ტყეშელი).
„დინამო“ (გაგრა) — „სკური“ (წალენჯიხა) 2:0. მსაჯი მ. ჭულუყიძე (სამტრედიის). გოლები: მანავაძე-2 („დინამო“).
„ბახტრიონი“ (ახმეტა) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 2:3. მსაჯი ი. შალაშვილი (თბილისი). გოლები: ბაბუნიშვილი, ნახელიშვილი („ბახტრიონი“), ლორია, ვიბლიანი, ჩაღუნელი (პოლი. ინსტი.).
„მადარო“ (ქუთაისი) — „დინამო“ (ზუგდიდი) 2:1. მსაჯი ვ. შელია (ქუთაისი). გოლები: ლვალაძე, გველესიანი („მადარო“), ჯავაშვილი („დინამო“).
„არმაზი“ (მცხეთა) — „დურუჯი“ (ყვარელი) 0:0. მსაჯი თ. ლორთქიფანიძე (თბილისი).
„სკური“ (წალენჯიხა) — „სულ-ორი“ (განი) 1:1. მსაჯი რ. გარნოვსკი (სამტრედიის). გოლები: მარაგოშია („სკური“), დვალისილი („სულ-ორი“).

II ჯგუფი

ალმოსავლეთი ქვეჯგუფი

„სამგური“ — „ჰერეთი“ 2:0, „მეტალისტ“ — „გარეჯი“ 4:1, სსი (მუხრანის) — „სინათლე“ 2:0, „ქიზიყი“ — „კოლმეურნე“ 4:1, „კახეთი“ — თსუ 3:0, „თრიალეთი“ — „ალაზანი“ 2:3, „გარისი“ — „ალგეთი“ 3:1.

ცენტრალური ქვეჯგუფი

„ფარვანა“ — „ზარზა“ 3:0, „საბარმა“ — მაიმონი 5:3, „მე-შახტ“ — „რაჭა“ 3:0, „გარდა“ — „ხეტიმელა“ 3:0.

დასავლეთი ქვეჯგუფი

„ხეტიმელი“ — „ზანა“ 2:2, „სა-ლინი“ — „მშენებელი“ 3:0, „მე-ნათობე“ — „მეშახტ“ 0:2, „ხა-რინი“ — „ფაზისი“ 3:1, „დარჩე-ლი“ — პოლი. ინსტი. (ქუთაისი) 2:1, „იმერეთი“ — „ბახმარო“ 3:2, „ეგ-რისი“ — „სუბტროპიკი“ 2:0.

ცხინვალის სტადიონზე საქართველოს პირველობის მორიგი მატჩის ჩატარებისას სტადიონის დიქტორ-ინფორმატორი გ. სანაკოვე გუნდების შემადგენლობას გადასცემდა მხოლოდ რუსული ტექსტით. რო-

ცა ფეხბურთის სამმართველოს ოფიციალურმა წარმომადგენელმა მის ჰკითხა, თუ რატომ გადაიტვირთა შემადგენლობა მხოლოდ რუსულად, მან უპასუხა, რომ ასეთი ვახვარ-გულეა მიიღო სამხრეთ ოსეთის საორტკომიტეტის თავმჯდომარის ი. სლანოვისგან.

გათამაშების ცხრილი

1 ჯგუფი

მდგომარეობა 4 ნოემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	ბ.	ქ.
„მადარეანი“	33	20	10	3	71-33
„სპარტაკი“	33	17	4	12	65-38
„ამირანი“	32	13	12	7	60-42
„მზიური“	33	14	8	11	53-45
„ივერია“	32	15	6	11	55-45
„დინამო“	29	15	5	9	71-38
„საბარ.“	33	13	8	12	46-47
„სამეგრ.“	33	15	3	15	51-62
სპი	32	13	7	12	68-67
„სკური“	33	13	7	13	46-51
„მეტალ.“	33	12	9	12	47-55
„სულორი“	33	12	9	12	49-49
„სიონი“	33	12	8	13	71-72
„დინამო“	31	14	3	14	56-55
„დურუჯი“	33	13	3	17	47-84
„არმაზი“	32	8	13	11	34-40
„საბარ.“	32	11	6	15	55-65
ფიზკ. ინს.	31	9	8	14	54-57
„ბახტრ.“	32	8	6	18	37-61
„არაგვი“	31	5	5	21	33-73

მოსავლეთი რესპუბლიკის

გათამაშების ცხრილი
მოსავლეთი პირველობა 1975-76 წ. წ. დაბადებულ ფეხბურთელთა შორის, შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ აფხაზეთის, აჭარის, ქუთაისის, რუსთავის, გორისა და თბილისის გუნდები.

პირველი ადგილი ამ საინტერესო შეჯიბრებაში, დაიკავა თბილისის ნაკრებმა (მწვრთნელები ოთარ შენგელია, სოსო სირაძე). რომელიც ძირითადად 35-ე სკოლის მოსწავლეებით იყო დაკომპლექტებული. თბილისელებმა თანმიმდევრულად დაამარცხეს აფხაზეთის — 2:0, გორის — 4:0, ქუთაისის — 2:1, რუსთავის — 2:2 ნაკრები გუნდები და მხოლოდ ერთი შეხვედრა დაამთავრეს ფრედ — 4:4, მასპინძლებთან, აჭარულ თანატოლებთან.

სურათზე: რესპუბლიკის მოსწავლეთა პირველობაში გამარჯვებული თბილისის გუნდი.
გია ახალაძის ფოტო.

გადასასვლელი ტერმინი

ბრძოლა II ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ზონებში გამარჯვებული გუნდების ფინალური ტურნირი, რომლებიც იბრძვიან I ლიგაში გადასასვლელად.

„გ“ ჯგუფში, სადაც სოხუმის დინამოელებთან ერთად გამოდიან ფერანის „ნეფტაიანიკი“ და პავლოდარის „ტრაქტორი“, სადღესო დღესი მდგომარეობაა:

„ნეფტაიანიკი“	თ. მ. ფ. წ. ბ. ჯ.
„დინამო“	2 2 0 0 2-0 4
„ტრაქტორი“	2 1 0 1 1-1 2
	2 0 0 2 0-2 2

სოხუმელებს ჩასატარებელი დარჩა 2 შეხვედრა და ორივე საკუთარ მიწაზე. 6 ნოემბერს დინამოელები მიიღებენ პავლოდარის „ტრაქტორს“, ხოლო 9 ნოემბერს — ფერანის „ნეფტაიანიკს“.

„გადასასვლელი“ გაერთიანებული ტერმინი

ამ დღეებში გაიმართა ევროპის კალთბურთელთა საკლუბო ტურნირების მორიგი შეხვედრები საბჭოთა გუნდების მონაწილეობით.

მიმოხილველთა აზრით, ყველაზე მოულოდნელი იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონის კიევის „ბუდი-ველიკის“ მარცხი პოზნანის (პოლონეთი) „ლეგია“-ს.

პირველი მატჩი კიევში „ბუდი-ველიკმა“ მოიგო 16 ქულით (104:88). განმეორებული შეხვედრაში მას თითქმის პქონდა მასი შეენარჩუნებინა ეს უპირატესობა, მით უფრო, რომ პირველი ტაიმი წაგო მხოლოდ ორი ქულით (43:45), მაგრამ შესვენების შემდეგ „ბუდი-ველიკმა“ უარესად სუსტად ითამაშა, მთლიანად დაუბრუნებლად ინიციატივა და დაამარცხა 17 ქულით 84:101. ამ ერთადერთმა ქულამ „ლეგი“ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების რვა უძლიერეს კოლექტივს შორის გაიყვანა.

ახლა ბევრს ლაპარაკობენ „ბუდი-ველიკის“ სუსტი თამაშის მიზეზებზე, საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა „წლებანდელ სეზონში“ მართლაც ორი წამყვანი მოთამაშე დაკარგა (ვოლოკოვი და ბელოსტერნი უცხოეთის კლუბებში გადავიდნენ), მაგრამ „ლეგიან“ დამარცხებას მხოლოდ ამ დანაკლისით ვერ გაგაძაბოთლებს. პოზნანის კლუბი საშუალო კლასის გუნდია და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ვალდებული იყო ეს დაბრკოლება წარმოებოდა დაედასტურებინა. თუ საკავშირო ჩემპიონატის შედეგისა და გახსენებით („ბუდი-ველიკის“ 14 მატჩიდან 9-ში „წლებანდელს“ აქვს) ნათელი გახდება, რომ მიზეზები უფრო არსებითია და ღრმა.

კორაჩის თასზე მოთამაშე საბჭოთა გუნდებმა მომდევნო წრეში თამაშის უფლება მოიპოვეს. ცხადმოდებოდა შეხვედრაც მოუგო დასავლეთგერმანიის „ლიუდვიგსბურგს“ 102:80 (მოსკოვში — 108:94). აღმაშენებლის არმელებმა კი ბრატისლავის „ინტერს“ აჯობეს ორი მატჩის გაშვით.

პირველი მილოცვა

ის დრო წავიდა, როდესაც ჩვენს ხელბურთელებსაც უმოკლესდენ დიდ წარმატებებს, დღევანდელი ცნობები კი მათ შესახებ ალბათ მხოლოდ სპორტის ამ სახეობის მეტრეხად ერთგულ გულშემატკივრებს თულა აინტერესებთ...

ორიოდე დღის წინ თბილისის სახალხო განათლების სამმართველოში მოსწავლე ხელბურთელები მიიწვიეს და წარმატება მიულოცეს. არ ვაპირებთ ამ წარმატების მნიშვნელობის გახეხვას, რაც უნდა იყოს, მიწვეულები ბავშვები იყვნენ — 14-15 წლის ხელბურთელები. მაგრამ ისიც ხომ ცნობია, რომ დაკარგული პოზიციის დაბრუნება და, საერთოდ, მიწვეული საქმის გამოსწორება ისევ პატარებიდან უნდა დაიწყოს.

თან არც ის წარმატებები გახლავთ ხელწამოსაკრავი... ყოველწლიურად ტარდება საკავშირო პირველობები ხელბურთის სპეციალიზებული სასპორტო სკოლების შორის და ჩვენმა გოგონებმა ახლა პირველად გაიმარჯვეს. მართლაც საკვირველია ეს გამარჯვება, ყველა იმის, რომ უკრით ჩვენს ხელბურთულ პატარებს და გოგონებს — განსაკუთრებით.

ახლა კი მათ ვის არ აჯობებს ტირასპოლში გამართულ შეჯიბრებაზე — რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, მოლდავეთისა და სხვათა უძლიერეს გუნდებს.

ალბათ უკვე დროა გამარჯვებული გავაცნოთ. ეს გახლავთ თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს ხელბურთის სპეციალიზებული სკოლის (დირექტორი ზაზა დოლიძე) გუნდი. სულ ორი წელია, რაც მას სათავეში ჩაუდგა (უფრო სწორად, თვითონ მოაგროვა მოსწავლეები) ახლომდებარე სკოლებიდან) ვილი ვარამაშვილი და მოკლე ხანში ასეთ წარმატებამდე მიიყვანა. ტირასპოლში შეჯიბრებაში წარჩეული სისტემით ჩატარდა და ჩვენმა გოგონებმა ყველა შეხვედრა (!) მოიგეს.

წარმატებას მიულოცეს ამავე სასპორტო სკოლის პატარებიც: გუნდის მწვრთნელმა, თბილისის „ბურჯგეს-ტნიკის“ ყოფილმა მოთამაშემ ჯიმიერ დვალაშვილმა ცოტა არ იყოს გულსიტყვილით ილაპარაკა ხელიდან გაშვებულ შესაძლებლობაზე, — აშკარად შეგვეძლო პირველი ადგილის აღებაცო. ჩვენმა გუნდმა ტირასპოლში ერთადერთი შეხვედრა წაგო, ისიც მასპინძელთა გუნდით.

კანონი ხულიგანთა სანიმალეობა

ინგლისელი ფანტიკოსი ფეხბურთის გულშემატკივრების ხულიგანობა საქვეყნოდ ცნობილია და რაც დრო გადის, მათი თავგასულობა ყოველგვარ საზღვარს ცდებდა. ფეხბურთის ფანტიკოსის ხულიგანობა აღსაკვეთად ბრიტანეთის პარლამენტმა ახალი კანონი დაამტკიცა.

თემთა პალატამ ხმათა უმრავლესობით დაადგინა შემოღობი მაკრებლობა პირადი ბარათები ინგლისის ყველა 92 საფეხბურთო კლუბისთვის. მოგვიანდ, რომ კანონი ძალაში შევა 1990 წლიდან, მას შემდეგ, რაც მას ლორდების პალატა მოიწონებს.

ნდთან ორი ქულის სხვაობით. არადა, გამოირკვა, ერთი ბურთით ნაკლები რომ გაეშვათ, ჩემპიონები ხდებოდნენ. ეს მერეცა გაიგეს, თორემ იმ მატჩის დროს რომ სცოდნოდნათ, ალბათ უკეთესად ითამაშებდნენ. საბოლოოდ, თბილისის გუნდმა და ზაპრორთელებს ქულათა თანაბარი რაოდენობა დაუგროვდათ, მაგრამ ბურთების უკეთესი სხვაობის გამო გამარჯვება უკრაინელებს მიეკუთვნათ.

ყველაზე საკვირველი ის არის, რომ გოგონებიც და ბიჭებიც... ერთ კლასში სწავლობენ. 160-ე სკოლაში (დირექტორი მურმან მელაძე) გახსნილია სპეციალური კლასი, სადაც თავი მოუყარეს ნიჭიერ ხელბურთელებს და შედეგაც, რომ იტყვიან, არ დაავიანა. ასეთი ურთიერთშეთანხმება მუშაობაში სპორტსკოლასა და „ჩვეულებრივ“ სკოლას შორის დიდად ნაყოფიერი აღმოჩნდა.

ახლა კი გუნდების შემადგენლობას გავაცნობთ. გოგონები: — მადონა ორმოცაძე, ნინო წიგწივაძე, ელენე არაბული, ლალი ვახაძე, ეკა ქიქიაშვილი, ლედი ელიაშვილი, ლალი ნიკოლოშვილი, ნანა ჯიშვილი, ქეთინო კენჭუაშვილი, ჰელგა მერაბიშვილი, მარგა გრილაშვილი, თინა ნოზაძე, ანა გოგიძე. ბიჭები: — მამუკა ნაროხაული, გოჩა მარგებაძე, კონსტანტინე ბაშელიშვილი, გიორგი პაპიაშვილი, ჯონი ეფრემიძე, ირაკლი ხურციძე, ვახტანგ ცუცქერიძე, იაკო ჩხაიძე, გიგა მალაია.

ქველიძე, დიმიტრი შუკოვი, გოგიტა ბუტიკაშვილი, გიორგი ურტაიძე. მთავან ხულიგანობა რა იონიდა? (ბათუმი, ქუთაისი, ტყე-ბული, ხაშური). დაანარჩუნებთ თბილისელები არიან.

როგორც სპეციალისტებმა გვითხრეს, ეს ბავშვები იქნებიან ძირითადი ბირთვი რესპუბლიკური ნაკრები გუნდებისა, რომლებიც გაიხად მოსწავლეთა საკავშირო სპარტადაში მიიღებენ მონაწილეობას. აქამდე ჩვენი ხელბურთელები ამ შეჯიბრებაში მუდამ საუკეთესო ათეულის მიღმა რჩებოდნენ, ახლა კი ბოლო გამარჯვებებით გულშემატკივრებს მწვრთნელებს სულ სხვა მიზნები აქვთ.

თბილისის სახალხო განათლების სამმართველოში შეხვედრისას სამმართველოს უფროსმა მიხეილ მინდაძემაც და სხვებმაც, ცხადია, სწავლავს ილაპარაკეს. დროის გაცდენა — ეს აუცილებელი მსხვერპლია მოსწავლე სპორტმენისათვის და განსაკუთრებული ძალისხმევით, საჭირო, რომ ამან ბავშვების აკადემიურ მოსწრებაზე არ იმოქმედოს. მწვრთნელებმა გვითხრეს, გუნდის წევრები სიზარმაცეს არ იჩენენ, ოღონდ, თუ საგანგებო სასწავლო გრაფიკს დაგვირგნავენ, უკეთესად იმსწავლიან... შეხვედრის ბოლოს ყველა მოსწავლემ სიგელი და სამახსოვრო საჩუქარი მიიღო.

გიორგი იოსელიანი.

„სპორტპროგნოზი“

გაერთიანებული „სპორტპროგნოზი“ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ 44-ე ტრაქტის შედეგები, რომელიც 27-28 ოქტომბერს გაიმართა.

ტრაქტში დაშვებულია 2.777.762 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (9) მოგება 4.629 მანეთი, 12 შედეგის გამოცნობისთვის (181) — 460 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (1.614) — 180 მანეთი.

საქართველოში: დაშვებულია 115.512 ვარიანტი. 13-3 (ყველა — თბილისი), 12—45, 11—303.

გაერთიანებული „სპორტპროგნოზი“ შეაჯამა „სპორტპროგნოზი“.

„სპორტპროგნოზის“ მომხმარებელთა საუბრად დავიგე!

გაცნობათ, რომ სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით სსრ კავშირის თასის გათამაშების მერვედღიანული მატჩები მოსკოვის „დინამოსა“ და ერენის „არარატს“, მოსკოვის „სპარტაკსა“ და მინსკის „დინამოს“, კიევის „დინამოსა“ და თბილისის „დინამოს“ შორის 11 და 12 ნოემბრის ნაცვლად გაიმართება 8 ნოემბერს. ამასთან დაკავშირებული.

ზის“ სპეციალური ტრაქტის შედეგები, რომელიც შედგენილია კიევის „დინამოს“ თამაშებზე სსრ კავშირის ჩემპიონატში (14 ივნისი — 27 ოქტომბერი).

ტრაქტში დაშვებულია 461.851 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (51) მოგება 135 მანეთი, 12 შედეგის გამოცნობისთვის (880) — 15 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (5.870) — 8 მანეთი.

საქართველოში: დაშვებულია 10.186 ვარიანტი. 13—2 (ორივე — ცხინვალი), 12—35, 11—180.

44-ე და სპეცტრაქტის მოგებები გაიცემა 1989 წლის 18 ნოემბრიდან 18 დეკემბრამდე.

ბით და სპორტული ლატარიების ჩატარების ინსტრუქციის თანახმად ამ შეხვედრების შედეგები (მე-9, მე-10, მე-11 წყვილები) განისაზღვრება წილისყრით, რომელიც შედგება 12 ნომბერს, „სპორტპროგნოზის“ 46-ე ტრაქტის გათამაშების დროს და გადაიცემა ცენტრალური ტელევიზიით.

სასპორტლო.

ახალი წესის თანახმად თითოეულ გულშემატკივარს ექნება საკუთარი, კოდირებული კომპიუტერული ბარათი ელექტრონული ტურნიერების სტადიონზე შესასვლელად. ხულიგანობაში, ან არეულობის ხელშეწყობაში შემჩნეულ ყოველ გულშემატკივარს ჩამოერთმევა პირადი ბარათი და მასთან ერთად საფეხბურთო მატჩებზე დასწრების უფლებაც.

საფეხბურთო ხულიგანობის წინააღმდეგ მოქმედი ზომების მიღების აუცილებლობა ბრიტანეთში კარგა ხანია მომწიფდა. ჯერ კიდევ 1985 წელს ინგლისის „ლივერპულის“ და იტალიის „იუვენტუსის“ ფინალური მატჩის დროს ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალში ინგლისელმა გულშემატკივრებმა ბრიტანული „იუვენტუსის“ სტადიონზე არანა ხელი ბარბაროსული აქცია მოაწყვეს, რის შედეგადაც დაიღუპა 39 იტალიელი მაყურებელი. ამ ტრაგიკული ინციდენტის შემდეგ ინგლისის საფეხბურთო კლუბებს აუკრძალათ ევროპულ ტურნირებში მონაწილეობა, მაგრამ ინგლისის ეროვნული ნაკრები კვლავინდებურად გამოდის საერთაშორისო შეჯიბრებებში, მას კი მუდამ თან ახლავს ფანტიკოსი გულშემატკივრები, რომლებიც სისტემატურად ახდენენ ხულიგანურ დებოშებს.

ბრიტანეთის სპორტის საქმეთა მინისტრმა კოლენ. მონიჰენმა განაცხადა, რომ იგი წინააღმდეგია ინ-


გლისის კლუბები დაუბრუნდნენ ევროპის საკლუბო ტურნირებს, სანამ ახლად მიღებული კანონი არ გაიმართლებს თავის დანიშნულებას. მაგრამ მრავალი ინგლისელი პოლიტიკოსი, მათ შორის. ოპოზიციური ლიბერალისტული პარტიის წარმომადგენელი, ექვს გამოთქვამს, რომ ეს სახალხო სასურველ შედეგს გამოიღებს. პარლამენტში გაიმართლი დებატების შემდეგ ლიბერალისტა წარმომადგენელმა ჯონ კანიგენმა განაცხადა, რომ ფეხბურთის ხულიგანთა ბოროტმოქმედება დიდი ხანია გასცდა სტადიონების ფარგლებს და პირადი ბარათებიც ვერ იქნება იმის გარანტია, რომ ფეხბურთის ფანტიკოსები კვლავ არ მოახდენენ უბედურებას სტადიონის ფარგლებს გარეთ. ქვეყნში და საზოგადოებრივ ტრანსპორტში.

რედაქტორის მოადგილე
უ. ჰივინაძე.

თბილისის სპორტის სახალხო-ში წარმოებს მიღება ქართული ცეკვების შემსწავლელ ჯგუფებში. მიიღებენ 7-დან 14 წლამდე ასაკის ბავშვები.
ცნობებისთვის მიმართეთ სპორტის სახალხო პროფკომიტეტს, დილის 10 საათიდან.
ადმინისტრაცია.

ფახბურთის გულშემატკივრებო!

სიჯანაღისა და სპორტის საქართველოს რესპუბლიკური საქველმოქმედო ფონდის თხოვნას დიდხულოვნად გამოეხმაურნენ რესპუბლიკის საუკეთესო პროფკავშირული გუნდების, „გურიისა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელები და ხელმძღვანელები.



შაბათს, 11 ნოემბერს, 15 საათზე თბილისის 3. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე გაიმართება საქველმოქმედო მატჩი „გურია“ (ლანჩხუთი) — „ტორპედო“ (ქუთაისი).
მატჩის მთელი შემოსავალი გადაირიცხება ფონდის ანგარიშზე და მიხმარდება ქართულ სპორტსა და ერის გაჯანსაღების ინტერესებს.

როგორ უნდა ამაყობი

უორკანტარი. მსოფლიოს მეორე ჩოგანმა მარტინა ნავრატოლოვა (აშშ) დაამარცხა თანამემამულე პამ შრაივერი (6:2, 6:0) და გაავიდა ტურნირის ნახევარფინალში, სადაც ასევე თავის თანამემამულეს ენ სმიტს შეხვედება (ამ უკანასკნელმა მოუგო ესპანელ კონჩიტა მარტინეს 6:3, 3:6, 6:2).

მეორე ნახევარფინალს გაითამაშებენ ზინა პარისონი (აშშ) და გბრიელა საბატინი (არგენტინა). პარისონმა მეოთხედფინალში ავსტრალიელი ელიზაბეტ სმაილ დაამარცხა (6:1, 7:6), საბატინი კი

სამხრეთაფრიკელი როზალინ ფეირბანკი (6:4, 7:5).

პარიზი. აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის მეოთხედფინალში დასავლეთგერმანელმა ბორის ბეკერმა დაამარცხა ავსტრალიელი უოლი მაზური 6:7, 6:4, 7:6 და მომდევნო წრეში გავიდა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ეს უკვე მეორე მატჩია, რომელსაც მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელი გადამწყვეტ სეტში ტაი-ბრეკით იგებს. წინა დღეს მას ასევე შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია ფრანგმა გი ფორჟემ.

— ბოლო ორმა შეხვედრამ, განაცხადა ბეკერმა, სარგებლობა უფრო მომიტანა, ვიდრე ვნება. ვგრძნობ რომ შევძლებ ფორმაში. არა და მუხლის ტრავმის გამო, შეიძლება კვირის განმავლობაში მოეძაწე არ გამოვსულვარ.

სხვა შეხვედრებიდან აღსანიშნავია შედეგად სტეფან ედბერგის გამარჯვება შვეიცარიელ იაკობ პლასკეტან (6:4, 6:3). სხვათა შორის, ედბერგი ტურნირის ერთადერთი მონაწილეა, რომელსაც ამ შეჯიბრებაში ჯერ ერთი სეტიც არ წაუგია. აარონ კრიკშტენმა დაამარცხა ბრედ ჯილბერტი (ორივე — აშშ) — 4:6, 6:3, 6:4, ჯონ მაკინროუმ კი მაიკლ ჩანგი (ორივე — აშშ) 6:4, 6:3. ნახევარფინალში ბეკერი შეხვედრა მაიკროუს, ედბერგი კი კრიკშტენს.

ჩვენი მისამართი:
წერილებისათვის — 380096,
თბილისი, ლენინის ქ. 13,
დებუშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

ჩადავების ბალანსი:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამაგისტო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანს“ — 93-97-26, „მაროვი“ — 93-97-27.

ჩვენი
ფაქსი
66485

საქართველოს კ. ც. ა. გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენისანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 13. ბეჭდვითი ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ზოშარაულის, 29.
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20
20 10 531